ცნობის ფურცელი

№ 2257 შაბათი, 6 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2257

სთმ ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი ვებისა: ყოველდღიური სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ლოდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მან. და 60 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

ვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე

კბილის ექიმმა

ალ. სოლოღაშვილმა

განახლა ავადმყოფების მიღება. მიხეილის ქუჩა, № 32 (10—2)

ატალია გაბუნია ცაგარლისა აუწყებს გარდაცვალებულის საყვარელის მეუღლის

ავქსენტი ცაგარლის

ნათესავთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად ლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის კლესიაში. (3—უ.—3)

ართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს გარდაცვალებულის

ავქსენტი ცაგარლის

ნაცნობთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად ლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის კლესიაში. (3—უ.—2)

ეინა ურნესტინა დადიანისა, ასიანა ეკატერინე ილიას ასული დადიანი, ულონ და ილიკო დადიანები და კნეინა ელენე წულუკიძისა გულითადის წუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ქმრისა, მეორე—მამისა და უკანასკნელნი—ძმისა

თავადის ილია იულონის ძის დადიანისას

ა სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე 7 სექტემბერს, სოფ. ოიდანახეს (ქუთაისის გუბერნია, ზუგდიდის მაზრა). (3—150—2)

ფილისის ქალაქის თავი ამით აუწყებს, რომ 6 სექტემბერს, დილის 11 საათზე თოლიკეთა მთავრის ეკკლესიაში, ფრანგების ქუჩაზე, გადახდილ იქმნება პანაშვიდი სულის მოსახსენებლად

ნიკოლოზ ივანეს ძის ზუბალაშვილის,

რომელმაც შესწირა თანხა ქალ. ტფილისში ღარიბთა თავშესაფარ სახლის აშენებლად. (2—2).

ტფილისის

რძო სამკურნალო

ნალის დ. ა. ბიძინაშვილისა

ადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ბიძინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვი—10

. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 1 საათ.

. ბიძინაშვილი.—შინაგანი, ნერვი წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკ და შაბათობით 1—2 საათ.

. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. ით შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების ვრობანი.

საღამოთი:

. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვაგრა და მიკრობიოლოგიური გამოკვლევანი საათ.

ურნალოს აქვს ოდი საწოლი კრავატი.

რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ციები მორიგებით. კრავატები—სამი დან ხუთამდე.

ი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი ა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—2)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(გოლოვინის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—[illegible] და 11—2 მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ცინკოგრაფია

ქართ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საზღვარ-გარედ

—

მაკედონია. ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის საგანგებო კორესპონდენტი სალონიკიდან მონასტირში წასულა და რაც უნახავს, ყველაფერი აუწერია. კორესპონდენტი სწერს: ამბორი ქრისტიანები, თითქო სადღაც გაჰქრნენო, აღარსად სჩანან; მინდვრები დაცალიერებულია; ყანებში ძე ხორციელი არა სჩანს; ოსმალების ყანებში თუ დაინახავთ ვისმეს. რკინის გზის სადგურები და რკინის გზის ახლო სოფლები შეიარაღებულ ოსმალებითაა სავსე; ოსტროვსა, საროვიჩსა და ფლორინაში მინდორშიაც ბევრი ჯარი დგა; სოფლები ხომ სავსეა ჯარით. რკინის გზას კარგად იცავენ. ყოველ ხიდთან, ყოველ ტუნელთან ჯარის-კაცების ჯგუფი დგას. ჯარის-კაცებს მეტად დაძველებული ტანისამოსი აცვიათ; ყოველ რაზმს ახლო დარაჯი სდგას. მატარებელი რომ გამოივლის, დარაჯი სალამს აძლევს. მონასტირში მიმავალ მატარებლით ბევრი ახალგაზდა ალბანელი მიდიოდა თავიანთ რაზმებში შესასვლელად. მონასტირიდან მომავალ მატარებლით კიდევ ბევრი შებორკილი და ძონძებით დაფარული ბოლგარი მოჰყავდათ. აჯანყებულთ ბევრი ხიდი დაუნგრევიათ, მაგრამ ოსმალებს ისევ შეუკეთებიათ. აჯანყებულ ბოლგარებს რკინის გზის შენობაც ბევრი დაუნგრევიათ. ოსმალებს ბევრი სოფელი აუკლიათ და დაუწვავთ. ცეცხლ-წაკიდებულ სოფლებს ხშირად ვხედავდით. ნეცეკის მხარეს ხშირი ბოლი სდგას. ეს სოფელი ამას წინად ოსმალებმა დიდის ბრძოლის შემდეგ წაართვეს ბოლგარებს.

◆ „ავტონომია“ ამტკიცებს, ოსმალები ბოლგარების ამოწყვეტას შეუდგნენ მაკედონიაში და აჯანყებულთ კომიტეტიც სამაგიეროს გადახდას იმუქრებაო. გაზეთი იუწყება: ოხრიდის კაიმაკამმა რამდენიმე ასი ბაშიბუზუყი-ალბანელი მიიწვია, სამხედრო ფორმა ჩააცვა და ბოლგარის სოფლებს მიუსია. ბაშიბუზუყებს ადგილობრივი ოსმალებიც მიეშველნენ: დაიწყეს ცეცხლის წაკიდება, ძარცვა და კაცების ხოცვა. რესენის ოლქში ოსმალოს ჯარმა ყველა წისქვილი დასწვა და დაანგრია, ორის გარდა; ეს ორი წისქვილი იმიტომ გაუშვეს, რომ ესენი მარტო ოსმალების პურსა ჰფქვავენ. მინდორში გამოსვლა ვერავის გაუბედნია, რადგან ოსმალო ჯარის-კაცები და ბაშიბუზუყები, ვისაც კი თვალს მოჰკრავენ, ყველას თოფს ესვრიან. ჯარი ბოლგარების კალოზე დადგმულ ძნასაცა სწვავს. ბოლგარების ყანებიდან მომკილ ძთეულებს ოსმალების სოფლებში ეზიდებიან, ჰლეწვენ და ხორბალს რესენში ჰგზავნიან. ოსმალეთის ჯარი მარტო დღისით გადის რესენიდან, ისიც არა ნაკლებ 200 კაცისა ერთად; ღამით რესენიდან გასვლას ვერა ჰბედავენ.

◆ ოსმალეთის მთავრობამ, როგორც ვიცით, ოსმალურსა და ბოლგარულ ენაზე პროკლამაცია გამოსცა და აჯანყებულ ხალხს სოფლებში დაბრუნება ურჩია. ეს პროკლამაცია ყველგან გააკრეს თურმე. მონასტირში აჯანყებულთ კომიტეტმა საპასუხო პროკლამაცია გააკრა. ამ პროკლამაციაში კომიტეტი ოსმალების ულმობლობასა და სასტიკობას ჩამოსთვლის და იმუქრება, სამაგიეროს გადავუხდი ოსმალებსაო. ხილმი-ფაშამ კომიტეტის პროკლამაციები ჩამოაგლეჯინა და ყველა ბოლგარი ერთ უბანში შეჰყარა და გააჩხრეკინა, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვა.

◆ „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება: სოლუნში 1200 ბოლგარი მოვიდა; ესენი სტამბოლიდან თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. ამ ბოლგარების ერთი ნაწილი ბიტოლის ახლო სუროვიჩევოში მიიყვანეს რკინის გზით; ვაგონიდან რომ გამოდიოდნენ, ბაშიბუზუყები მისცვივდნენ და დახოცეს.

◆ გაზეთებმა ახალი ცნობა მიიღეს, სარაფოვი მარტო ფეხში დაჰკრესო; აჯანყების მეთაური 800 კაცით კოსტურის ოლქში იმყოფებაო. „ფიგარო“-ს სწერენ ბიტოლიიდან: სარაფოვმა შეატყობინა ოსმალეთის მთავრობას: ან ინგლისის კონსულს, ან ამერიკის მისიის უფროსს, ან არა-და ინგლისურ გაზ. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტს მოვაკვლევინებო. ინგლისის კონსულმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე ოსმალეთის მთავრობას გამოუცხადა, მაკედონიაში რომ ინგლისის ქვეშევრდომი მოჰკლას ვინმემ, ინგლისი პ.სუხის-გებას ოსმალეთს მოსთხოვს, სხვას არავისაო.

ბოლგარია. ბოლგარიის გიმნაზიების მასწავლებლებმა 9 სექტემბერს (ახ. სტ.) სოფიაში კრება მიახდინეს და ერთხმად დაადგინეს, გულითადი ძმური სალამი გადავსცეთ და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ჩვენ მაკედონიელ თანამოძმეებს, რომლებიც შეურყეველის მხნეობითა და უმაგალითო თავგანწირულობით იბრძვიან ადამიანის თავისუფლებისა და სიმართლისათვისაო. კრების რეზოლიუციაში ნათქვამია: „დიდებულ მებრძოლთა საოცარი მამაცობა გვაკვირვებს. კრებას ჰსურს, რომ თავგანწირულმა ბრძოლამ ავტონომია მოუპოვოს მაკედონიას. მარტო ავტონომია უზრუნველ ჰყოფს მაკედონიის ყველა ერის კეთილდღეობასა და გონებით განვითარებას“.

◆ ბევრი დარწმუნებულია, ბოლგარიასა და ოსმალეთს უსათუოდ ომი მოუვათო; გაზ. „პოლ. კორესპ.“ არ ეთანხმება ამ აზრს. გაზეთი სწერს: ბოლგარიის მთავრობას რომ ომი ეწადოს, საერო კრებას აღარ დაითხოვდა და ახალ არჩევანს არ დანიშნავდაო. საერო კრების დათხოვნა იმის ნიშანია, რომ ბოლგარიის მთავრობას ოსმალეთთან ომი არა ჰსურსო.

სერბია. „პირჟევი ვედომოსტი“-ს სწერენ ბელგრადიდან: „ნიშში ოფიცრებმა თავიანთ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება მოინდომეს. ოფიცრები იმუქრებიან, თუ ჩვენი სურვილი არ ასრულდა, ავჯანყდებით, მეფე პეტრეს ტახტიდან გადავაყენებთ და იმის მაგიერ მემკვიდრეს ავიყვანთ ტახტზეო. ამბობენ, მეფის მემკვიდრეც ოფიცრების უმეტესობასავით იმ აზრისაა, რომ ალექსანდრე მეფის მკვლელი ოფიცრები უსათუოდ სამსახურიდან უნდა გადაღგნენო. აქედან ცხადად სჩანს, რა საშიშ ყოფაშია ჩავარდნილი სერბია. საქმეს უფრო ის აჰირებს, რომ შეთქმულ ოფიცრებს ერთი პირი არა აქვთ: ზოგი თხოულობს, მეფის მკვლელი ოფიცრები სამსახურიდან გადადგნენ, ზოგი კი სამსახურიდან გადაყენებას არა სჯერდება და მეფის მკვლელ ოფიცრების დახოცვას თხოულობს. ამაზე დიდი განხეთქილება მოსდით ოფიცრებს. 29 აგვისტოს დიდი ჩხუბი და კინკლაობაც გამართეს ერთმანეთში.

◆ მთელ სერბიაში ხმა დადის, ოფიცრების ახალი შეთქმულობა ავსტრიის აგენტებმა მოაწყესო. ავსტრიას ყარაგიორგიევიჩის დინასტიის დამხობა უნდა, რადგან ახალი მეფე ავსტრიის პოლიტიკის ყურ-მოჭრილი ყმა არა ხდებაო. ოფიცრები გაზეთებში ბეჯით პროტესტს აცხადებენ ამ ბრალდების წინააღმდეგ: ეს ბრალდება ყოველ სიმართლესაა მოკლებულიო. მეფის მკვლელ ოფიცრების სამსახურიდან გადაყენება იმ დღესვე გადავსწყვიტეთ, რა დღესაც პეტრე ყარაგიორგიევიჩი მეფედ გამოაცხადესო. წინად იმედი გვქონდა, თითონ მეფე პეტრე დასჯიდა ალექსანდრე მეფის მკვლელ ოფიცრებს და სამსახურში არ დააყენებდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა, ამიტომ ეხლა ჩვენ თითონ ამ[illegible] ხმა და დამნაშავე ოფიცრ[illegible] მოვითხოვეთო.

იტალი[illegible] [illegible] სწერე[illegible]-მილანიდან: [illegible]-დონიის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი კომიტეტი“ მილანში ფულსა ჰკრებს მაკედონელებისათვისაო. კომიტეტმა 5 ათასი ფრანკი გაუგზავნია კიდეც და ეხლაც ყველგან კრებებსა და კონფერენციებსა ჰმართავს მაკედონელების სასარგებლოდაო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისი ჯერაც არ გათავებულა. იმპერატორი ბევრჯელ ჩავიდა ბუდაპეშტში, ბევრს სახელმწიფო კაცს ეთათბირა კრიზისის თაობაზე, მაგრამ არც ერთმა არ იკისრა სამინისტროს შედგენა. ვეკერლემ, აპონიიმ, თუ ლუკაჩმა ყველამ ერთხმად გამოუცხადეს მეფეს, თუ ჰუნგრეთის ეროვნული მოთხოვნილება შესრულებული არ იქნება, სამინისტროს შედგენა შეუძლებელიაო. ასე რომ ეხლაც ჰუნგრეთის სახელმწიფო საქმეებს ისევ კუენ-ჰედერვარის სამინისტრო ჰმართავს.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ‘ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარი მეტად აღელვებულია, ჯარის-კაცები ზოგგან დემონსტრაციებს ჰმართავენ და აცხადებენ, 1 ოქტომბერს იქით სამსახურში არ დავრჩებითო. სამხედრო სამინისტროს განკარგულების წინააღმდეგ ბევრმა დაწესებულებამაც გამოაცხადა პროტესტი. ეს განკარგულება უკანონოდაც მიაჩნიათ და უსამართლოდაც. მთავრობას ნება არა აქვს ვადის შესრულების შემდეგ, ჯარის-კაცები სამსახურში დასტოვოსო. მთავრობას ამისი ნება მარტო ომიანობის დროსა აქვს და ჩვენ ხომ ჯერ არავისთან არ მოგვსვლია ომიო. ხალხი დღესაც პროტესტს აცხადებს სამხედრო მინისტრის განკარგულების წინააღმდეგ. ამ დღეებში გროსვარდეინში (ჰუნგრეთში) სოციალისტების მეთაურობით შფოთიანი დემონსტრაცია მოახდინეს. მანიფესტანტებმა მთელი ქალაქი გაიარეს და ყველა სახელმწიფო დაწესებულებას შუშები დაუმსხვრიეს. პოლიცია ხალხის გაფანტვას ეცადა; მანიფესტანტებმა რევოლვერები ესროლეს და სამი პოლიციელი დასჭრეს. ბევრი ხალხი დაატუსაღეს.

ინგლისი. ლეისტერში ტრედ-უნიონების კონგრესმა დაადგინა, მუშებმა პალატაში საკუთარი დეპუტატები აირჩიონო. კონგრესმა ამ საქმეზე შემდეგი რეზოლიუცია დაადგინა.

„კონგრესი გულწრფელად ნდომობს, რომ მშრომელ ხალხს პალატაში საკუთარი დეპუტატები ჰყავდეს და ბეჯითად ურჩევს ყველა ტრედ-უნიონს ამ აზრს მიემხრნენ, რომ მუშა ხალხს ამ საქმეში ერთი პირი ჰქონდეს და პოლიტიკურ საქმეებში თანხმობით მოქმედებდეს“.

ამ რეზოლიუციას 200 დელეგატი მიემხრო, 80 დელეგატი წინააღმდეგი იყო. რეზოლიუციის მომხრე დელეგატები 506 ათას მუშის არჩეულნი არიან, რეზოლიუციის წინააღმდეგი დელეგატები კი—285 ათასის მუშისა.

◆ ჩემბერლენს ალალი ძმაც გადაუდგა. ადრევეც გვქონდა მოხსენებული და ეხლაც სწერენ გაზეთები, კოლონიების მინისტრის ძმა, არტურ ჩემბერლენი თავისუფალ ვაჭრობის მომხრეებს უდგება და თავის ძმის სატამოჟნო პროექტის წინააღმდეგიაო. ამ დღეებში, არტურ ჩემბერლენი ასტონის (ბირმინჰამს ახლოა) ლიბერალურ ასოციაციის თავმჯდომარედ აურჩევიათ. მინისტრის ძმა დათანხმებულა და ადგილობრივ ლიბერალურ პარტიის მეთაურებისათვის თათბირის დროს უთქვამს, ასტონის დეპუტატად პალატაში უსათუოდ თავისუფალ ვაჭრობის მომხრე უნდა ავირჩიოთო. ამას გარდა ჩვენმა დეპუტატმა ახალ სასკოლო კანონის გაუქმება და სასმელებით ვაჭრობის რეფორმა უნდა მოითხოვოსო. სასმელების ვაჭრობის წესები იმნაირად უნდა შეიცვალოს, რომ ლოთობა შემცირდესო.

ახალი ამბავი

◆ თავ. ს. რ. ვახვახიშვილმა, რომელიც კავკ. სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელია **მეღვინე-მევენახეობის უმაღლესს კომიტეტში**, გამოუგზავნა სამეურნეო-საზოგადოებას: 1. პროექტი იმ კანონებისა, რომელიც უნდა შემოიღონ ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ; 2. მოხსენება მეღვინეობა-მევენახეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ადგილობრივ დაწესებულებათა დაარსების შესახებ; 3. მოხსენება ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად იარაღის გამოძებნის შესახებ, 4. მოხსენება საცდელ მინდვრების მოწყობის შესახებ და სხვ. თავ. ვახვახიშვილი ატყობინებს საზოგადოების საბჭოს, რომ ეს მოხსენებანი ეგზავნება საზოგადოებებს თავიანთ აზრის გამოსათქმელად. რადგან მოხსენებებს განსაკუთრებული კომიტეტი განიხილავს ნოემბრის ბოლო რიცხვებში და მანამდე კი ცოტა დროა დარჩენილი, საჭიროა ეხლავე დაინიშნოს საზოგადო კრებები სამეურნეო საზოგადოებისა ყველა ამ საქმეების განსახილველადაო. მოხსენებანი კრედიტისა და რკინის გზით ღვინის გადაზიდვისა, აგრეთვე სასოფლო ამხანაგობათა შესახებ კომისიის წევრებს ჯერ არ მიუღიათ და, როგორც მივიღებთ, მასაც გამოგიგზავნითო.

◆ 4 სექტემბერს ქალაქის ხორცის დუქნების გამგე-კომისია შეუდგა ერთ მოხსენების განხილვას. მოხსენება შეეხება იმას, როგორ უნდა გაუმჯობესდეს **ხორცის ბაზარი**. კომისიამ ამ საღამოს მოასწრო მხოლოდ ერთის საკითხის განხილვა, სახელდობრ—საქონლის რკინის გზით გადაყვან-გადმოყვანის შესახებ. კომისიამ დაადგინა, დაავალოს ქალაქის ბეითალს, შეადგინოს მოხსენება რკინის გზებით საქონლის გადაყვან გადმოყვანის საქმის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება უმაღლეს მთავრობას წარედგინება.

◆ 4 სექტემბერს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოს ხმოსნებისა, რომელთაც განიხილეს **ფუნიკულერის გამგებ** სააქციონერო საზოგადოების მოხსენება. საზოგადოების გამგეობა თხოულობდა, ნება დართოს ქალაქის გამგეობამ ფუნიკულერის ქვედა სადგური წინად დანიშნულ ადგილიდან იქ გადაიტანოს, სადაც ქალაქის წყლის აუზია. აუზის გადატანას საზოგადოება კისრულობს. საშუალო სადგური მამა-დავითის ეკლესიის პირდაპირ უნდა გაკეთდეს. მაღლა სადგურთან განზრახულია დიდის გვირაბის გამოთხრა; აქ გაიმართება დარბაზი, სადაც მგზავრები ფუნიკულერის ვაგონების მოსვლას მოუცდიან. შეერთებულმა სხდომამ შეიწყნარა სააქციონერო საზოგადოების მოხსენება. შეერთებულმა სხდომამ ამასთან დაადგინა, თუ ვინიცობაა ფუნიკულერის საზოგადოებას, იმას გარდა, რაც მიწები აქვს მოზომილი გზისათვის, კიდევ დასჭირდა ადგილი, ახალი საიჯარო გადასახადი დაადონ საზოგადოებას.

◆ კვირას, 7 სექტემბერს, დაიწყება მეცადინეობა **ნაძალადევისა და ჩუღურეთის საკვირაო სკოლებში**.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა ჯერ ისევ ვედენეევის დროს აპირებდა ლიანდაგზე მმოძრავ **სამკითხველო-წიგნთსაცავების** დაარსებას. ამ ჟამად რკინის გზის გამგეობა სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მთავარ ბუხჰალტერს ბ-ნ ა. პუშკარიოვს 35 წელიწადი უსრულდება, რაც იგი მსახურობს და იმის პატივსაცემად აარსებს მმოძრავ სამკითხველო-წიგნთ-საცავს. ამ საქმეს 2000 მანათზე მეტი სჭირდება. ამ თანხის შესადგენად გუშინ, 5 სექტემბერს, გამგეობისა და განყოფილებების მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერა გამართეს. რაც დააკლდება ამ თანხას, იმას გამგეობა შეავსებს.

◆ **დუშეთიდან გვატყობინებენ**, რომ მოქალაქეთა და მაზრის მცხოვრებთა შორის ხელის მოწერა გაიმართა ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დასაარსებლადაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობის **მიწის-მზომელი მაიჭავა დანიშნეს მომრიგებელ-შუამავლად** სიღნაღის მაზრაში.

◆ **„კავკაზ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ**: მთავარ მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი მაქსიმოვი დაინიშნა ამ კანცელარიის ვიცე-დირექტორად. ბეითალი ტურკინი—ბათუმის საოლქო ბეითლად. სახელმწიფო ბანკის უფროსი ბუხჰალტერი იგნატოვიჩი—სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კანტროლიორად. ამ ბანკის კანტროლიორად ნამყოფი ერშოვი—სახელმწიფო ბანკის ელეცის განყოფილების გამგედ.

◆ 12 აგვისტოს ართვინის მახლობლად **გადამწვარა სოფელი ფხიკორი**. დაღუპულა 26 კომლის სახლ-კარი და ქონება, აგრეთვე სომეხ კათოლიკეთა ეკლესია.

◆ ტფილისის **შინაურ-ცხოველთ მფარველ საზოგადოების** თავჯდომარედ ნამყოფის, განსვენებულ რალის მემკვიდრეებმა მან. შესწირეს საზოგადოების საქონლის კურნალოს.

◆ **ტფილისის საყასბო** ისე დაძველ ლა, რომ შეკეთებაა საჭირო. გუშინ სა ბოს გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დასდოს ფული საყასბოს შესაკეთებლად.

◆ **ნავთლუღს იქით შილდოვის დარაჯებ სექტემბერს, ღამე, წამოეწივნენ ვიღაც ბო განმზრახველებს, რომელთაც სადღაც 14 და 2 ცხენი მოეპარათ და მიჰყავდათ. დარაჯ ხმაურობაზე ქურდები დაიმალნენ. წართმეული ქონების პატრონი არ იციან ვინ არიან.**

◆ **ხორცის დუქნების გამგე-კომისიამ 4 ქტემბერს დაადგინა, დაავალოს თავის წევ სედოვზაროვს გამოარკვიოს, რა მდგომარ შია სათიბე მოედნების მოწყობის საქმე.**

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის ყასბოდან თედორე მაკაროვს ტაჩკით წაუღია ნა მტკვარში გადასაყრელად. უცაბედად ცხენს მტ ნაპირას გადაუწევია და გადავარდნილა ისეთის მაღლიდან, რომ იქვე მომკვდარა. ცხენსა და ტაჩკას გადაჰყოლია მაკაროვიც, რომელიც სიკვდილს ძ გადარჩენია. საყასბოს გამგემ შეატყობინა გ ეს გარემოება ქალაქის გამგეობას და სთხოვა დასდოს 130 მან. ნაგვის საზიდ ტაჩკისათვის ცხ შესაძენად.

◆ გუშინ-წინ პოლიციის მე-8 ნაწილში, ტონის სახლის მახლობლად, მტკვარში დაი ტფილისის მოქალაქის შვილი 5 წლის ლ ფიტერმანი.

შინ და გარედ

5.

ისე გაზეთს ვერ გადაფურცლავ, რომ სწავლებლების ნაკლებობაზე ჩივილი წაიკითხო. გაზეთებისთვის შემოდგომაზე ამგვარი თემა აღარ არის. რუსეთის ყვე მხრიდან ერთი და იგივე მოთქმა ისმის: ერთს სკოლაში ალაგი არ არის და მრა ლი ბავშვი სასწავლებლის გარეშე დარჩა საზოგადოებამ ყური შეაჩვია ამ მუდ სამდურავს და ივიწყებს, რაოდენ საშიშ ეს გარემოება. ყოველ წელს სწავლის მ რველთა უმეტესობა ადგილს ვეღარ შო ლობს სასწავლებელში! ამაზე ანორმ მოვლენა ძნელია სხვა მოიძებნოს, ნამე ჩვენს დროში, როდესაც ერთა შორის ბრ ლა ასე გამწვავდა და როდესაც არსებ სათვის ბრძოლაში უფრო განათლებულს მომზადებულს ერს რჩება გამარჯვება.

ამას წინად რუსულ გაზეთებში ერთის პონელ მოგზაურის შთაბეჭდილებანი ი დებოდა. იაპონელი დაუფარავად სიამოვნ აცხადებდა, რუსეთი მეტად ჩამორჩენ ქვეყანა ყოფილა სწავლა განათლებისა უბრალო წერა-კითხვის გავრცელების მ თაო. იაპონელის სიხარული ადვილად სნელია: მას, ალბათ, მაშინვე მოაგონდ და ცნობილი აფორიზმი—საფრანგეთი პანიის ჯარმა კი არა სოფლის მასწავლებ მა დაამარცხაო...

ფელეტონი

ჩვენი მწერლობა

„სიკოს სახლობა“, სააღდგომო ესკიზი ია ეკალაძისა, „ცნ. ფურც.“ № 2116, 1903 წ.

ჰუმორი, ღიმ მორეული ფიქრი—ძვირი სტუმარია ქართულ მწერლობაში და მით უფრო სანატრელია ჩვენთვის. ჰუმორს რაღაც უცნაური მხიბლავი თვისება მოსდგამს. იგი იდუმალობით არის სავსე, როგორც ადამიანის სახეზე გამოხატული ღიმილი. ვინ იტყვის, რად მოგვწონს ჩვენ ეს ღიმილი, სიყვარულის სხივი, რომელიც ადამიანის სახეს გაანათებს ხოლმე და მოყვასს ანდამატივით იზიდავს?

ბუნების მეტყველების მოტრფიალე დინჯად, შუბლ-შეჭმუხვნით მოგითხრობთ ამ ღიმილის ისტორიას. „იგი სრულებით იდუმალობა არ არის“,—მოკლედ მოგიჭრით იგი სიტყვას: პირველად მაშინ გაიღიმა ადამიანმა, როცა თავისს მოყვასს სასიამოვნო საქმე შეუსრულა, ამამას, ეს სიამე მის გულსაც მოხვდა, ღიმილად აღებ [illegible] ზე და მოყვასის სახეზედაც [illegible] ქი. ღიმილი საერთ [illegible] საზოგადო სიამ [illegible] ენს სია- [illegible]

ვერც თქვენ და ვერც მე ვერ დაგვაკმაყოფილა ბუნების-მეტყველისაგან ღიმილის განმარტებამ, მკითხველო, და როგორც აქამდის იყო, ისევ საამო იდუმალობად დარჩა ეს ღიმილი ჩვენთვის.

სწორედ ამგვარ იდუმალ, მხოლოდ სევდა-ნარევ ღიმილის შუქით არის განათებული ბ-ნ ია ეკალაძის სააღდგომო ესკიზი „სიკოს სახლობა“. ბ-ნ ია ეკალაძემ ცოცხლად, მოხდენილად, მარტივად და ჰუმორიულად აგვიწერა აღდგომისთვის სამზადისი პაწია მოხელეს „სიკოს“ ოჯახში.

პირველი სცენა წარმოადგენს ვახშამს სიკოს სახლში: მაგიდასთან ზის სიკო თავის ცოლით, დედით და სიდედრით. სულის განწყობილების მიხედვით ეს ოთხი ადამიანი ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. სიკო თავის დედითურთ და მათი მოწინააღმდეგენი: სიკოს ცოლი მაიკო თავის დედითურთ. ქალები უკვე ომ-გარდახდილნი უსხდნენ მაგიდას, კლანჭები დაემალათ და მხოლოდ რაიმე უმნიშვნელო შემთხვევას უცდიდნენ, რომ გარედ გამოეყოთ და ერთმანეთისათვის ისევ „ბლევირა“ ეჟღინათ. საწყალი, მოკუნტული სიკო, გულში შიშ ჩამარხული, ხელახლად ჭექა-ქუხილის მომლოდინე, იჯდა მაგიდასთან. სიკოს სულის განწყობილება დაკვირვებითა და სინამდვილით აქვს აწერილი ავტორს.

კედლის საათმა თორმეტი დაჰკრა და მისი უგემური ცხრიკინი ლახვარივით მოჰხვდა სიკოს გულს: „ეს წყეული უთუოდ ამიყაყანებს ამ დედაბრებსაო“,—გაიფიქრა სიკომ და ძალა-უნებურად ყურები აცქვიტა. მართლაც მაიკო ფიქრებიდან გამოირკვა და სააღდგომო სამზადისის შესახებ ლაპარაკი დაიწყო.

საიდან ჩაუძვრა ავტორი სიკოს გულში და როგორ გაიგო მისი სულის განწყობილება? ამნაირი მომენტი ხშირად მოხდება ხოლმე შინაურ ომ-გარდახდილთა ცხოვრებაში. გარედან თითქო მშვიდობიანობა დამყარდაო, გეგონებათ, მაგრამ უეჭველად შესცდებით. ადამიანის გულში ბრაზით სავსე ქოთანს, რომელიც სდუღდა და გადმოდიოდა, მხოლოდ დუმილის სარქველი დაედო თავზე, გარედან დაადუმა, შიგნით კი ისევ წინანდებურად სდუღს და ბორგავს და პაწია, უმნიშვნელო შემთხვევაც კმარა, რომ თავი ახადოს ამ ქოთანს და ისევ ცხარე ბოლმა გადმოადენინოს ადამიანს.

სიკოც გულის კანკალით უცდიდა ამისთანა მომენტს. ავტორმა ცოცხლად დაგვანახვა სიკოს ოჯახის წევრთა შორის არსებული დამოკიდებულება, უშინაარსო, უსაფუძვლო მტრობა მანდილოსანთა შორის, რომელიც მიზეზს არ უცდის, სულ პაწია რამე გარემოება კმარა, რომ გააჩაღოს მათ შორის თავიდანვე არსებული სიძულვილი. ამ მანდილოსანთა შორის საცოდავი სიკო მოგაგონებთ პატარა საარაკო კოზაკს, რომელიც კინაღამ არ გაჭყლიტეს ერთმანეთთან ჩხუბში ამრიზებულმა აქლემებმა.

ბედშავი ხალხი! მხოლოდ შემთხვევით თავმოყრილა ამ ოთახში, იმიტომ რომ დმა არგუნა ცოლად სიკოს მაიკო, მაიკომ თავისი დედა გამოიყოლია ოჯახში და სიკომ—თავისი. ხელოვნუ შემდგარ ოჯახის წევრთ არა გააჩნიათ-რა ერთო, არა აქვთ შემაერთებელი კავშ სიყვარული ერთმანეთ შორის. პირი ისინი ერთმანეთის მიმართ მძულვარების ქტრონით არიან გატენილნი და სულ ლოდ თითი რომ შეახოს ერთმა მე მაშინვე ააფეთქებს და ბრაზის მგზნ ნაპერწკლებს გადმოაყრევინებს.

ამ პაწია სულდგმულთა შორის მტრობა-ქიშპობა დაგვანახვა ავტორმა, პაწია სულში შეგვიძრანა, თვალ წინ გვიშალა ამ ოჯახის პაწია ტრაგი-კომე

სიკოს ჯალაბი მოწადინებულია შინ მზადოს პასკები სააღდგომოდ და ეს მოება უნდა გახდეს მომავალ ტრაგი კომ შეტაკებათა გამოულეველ წყაროდ.

აღდგომა ხომ ისეთი დღეა ადამიანის როდესაც მან უსიკვდილოდ უნდა მო დოს თავისთვის და თავისი ოჯახისთვის ჩვეულებრივი, დიდებული სახეთქი სულს დააკლდა, გვამს უნდა შეავსებ სულიერ საკვებს მოკლებული, თავის ჰკვებავს და ირჩევს ამისთვის უდიდეს ღვრის, ქრისტეს მოგონების დღეს, ურადა თავიდან ბოლომდის ტრაგი-კო რადა, მოწყობილი დღევანდელ ადამ ცხოვრება. იგი ჩვეულებრივად, დღე

ტერბ. ვედომ."-ის ანგარიშით, უკანას- 50 წლის განმავლობაში რუსეთის რებთა რიცხვმა ორჯელ იმატა (1850 იყო 69 მილიონი მცხოვრები, 1898 —129 მილიონი გახდა); მიუხედავად სკოლების რიცხვი ნელ-ნელა იზრდე- „ჩვენებურათა ძველებურათაო". მცხო- ა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებ- საჭიროა წელიწადში 5082 მარტო ლდაწყებითი სკოლა იხსნებოდეს, ახლა- ლიწადში იხსნება მხოლოდ 1700-მდე სკოლა, ესე იგი, 1300 სკოლით ნაკ- გამოიანგარიშეთ მაშ, რამდენი ბავში ყოველ წლივ მარტო პირველ დაწყე- კოლის გარედ.

ულო სკოლის საქმეც არ არის უკე- დგომარეობაში. 1887 წელს ერთი სა- ო სასწავლებელი მოდიოდა თურმე თას სულზე; 1899 წელს-კი თითო საშუა- კოლა ემსახურება 363 ათას მცხოვრებს! ამე დღითი-დღე მცხოვრებთა რიცხვი ესწრობს საშუალო სასწავლებელთა ; დღითი-დღე საქმე უარესდება და დადგება ის დრო, რომ ყველგან, ში, წელიწადში მსურველთა მხოლოდ ს მიიღებენ სკოლებში.

ლეს სასწავლებელთა შესახებაც იგი- ქმის. სულ ნაკლები რომ ვიანგარიშო- სწერენ „პეტერბ. ვედ." ში, ახლა რუ- 13—14 უნივერსიტეტი უნდა იყოს ა ცხრაო; ხოლო თუ გვინდა, რომ ლეს სასწავლებელთა რიცხვი ცოტათი შევუფარდოთ მსურველთა რიცხვს, სწავლებელთა რიცხვი უნდა გავაორ- ოთ.

ცნობებიდან სჩანს, რომ რუსეთში ლა-განათლების გავრცელების საქმე მე- ცუდათ მიდის: თუმცა სკოლათა რიც- ატულობს, მაგრამ, მცხოვრებთა რაო- ბის ზრდასთან შედარებით, ძალიანაც ულობს. ეს საშინელი დასკვნაა და სა- ფიფოს არ შეუძლია ანგარიში არ გაუ- ასეთ ყოფას. ნამდვილად კი ამ მოვ- ს წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის უჩინა- [illegible] ხარჯავს ხალხის განათლებაზე იმდენს, ენს რუსეთის საერო განათლების სამი- რო მთელს იმპერიაზე! მოდი შენ და ურენცა გაუწიე...

მიზეზია ასეთის ჩამორჩენისა, იქნება ოს რომელმამე გულუბრყვილო მკით- მა. ზოგიერთ რუსის პატრიოტს თუ ჯერეთ, უმთავრესი მიზეზი შემდეგია: თის ხალხი მეტად ღარიბია და, რო- ც ღარიბი, მეტად სწრაფად მრავლდება მეტომ ღონისძიება აღარ არის—პროპო- ული თანხმობა დავიცვათ მცხოვრებთა ბა და სკოლების დაარსების შუაო. ვირველია, ასეთი ახსნა ამ რთულ მო- ისა საოცარია, მეტი რომ არა ვთქვათ. ც იფიქრებს მკითხველი, ვითომც ამ პატრიოტებს თვითონაც სწამდეთ თავისი ახსნა...

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ განზრახვა აქვთ, ამ მოკლე ხანში, გზათა დეპარტამენტი, რომელიც დღემდის ფინანსთა სამინისტროსთან იყო, გზათა სამინისტროს შეუერთონ; ფინანსთა სამინისტროს სამასწავლებლო განყოფილება საერო განათლების სამინისტროს უნდა შეუერთონ.

◆ მიმდინარე წლის პირველ ხუთი თვის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა ჩვეულებრივი—773 მილიონი მან., შარშანდელზე 72 მილიონით მეტი, არა ჩვეულებრივი—134 მილიონი მან., შარშანდელზე 20 მილიონით ნაკლები. ხარჯები: ჩვეულებრივი—797 მილ. მან., შარშანდელზე 29 მილიონით მეტი და არაჩვეულებრივი—42 მილიონი, შარშანდელზე 13 მილიონით ნაკლები.

◆ ქალთა სამეურნეო განათლების დამხმარებელმა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ქალთა საშუალო სკოლებში მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგების სწავლება იქმნას შემოღებული, უმთავრესად კი ქალთა საეპარქიო სასწავლებლებში, რომელთა მოწაფეებს, როგორც მღვდლებისა და დიაკვნების შვილებს, ყველაზე უფრო მეტი კავშირი აქვთ სოფლის ცხოვრებასთან.

◆ ხერსონის საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტების ფიზიკო-მათემატიურ ფაკულტეტზე რეალურ სასწავლებლებში კურსდასრულებულები დაუშვან.

◆ ვილნოს მომრიგებელ-მოსამართლეს შემდეგი არა ჩვეულებრივი საქმე განუხილავს. ერთის სახლის პატრონის საჩივრის განხილვის დროს ამ მომრიგებელმა-მოსამართლემ გამოართვა მომჩივანს დაწესებული გარდასახადი 1 მ. და 10 კაპ., დაითვალა ეს ფული და აღმოაჩინა, რომ შიგ ერთი ყალბი აბაზიანი ერია. მომრიგებელმა-მოსამართლემ მაშინვე შეადგინა თურმე ამის შესახებ ოქმი, დაუყოვნებლივ იქვე განიხილა ეს საქმე და ყალბი ფულის პატრონს თვე ნახევრით ციხეში ჩაჯდომა გადაუწყვიტა. დამნაშავე მომჩივანს პოლიციელი გააყოლეს და მახლობელ საპოლიციო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

◆ ხარბინში ამ მოკლე ხანში გამოსცემენ რუსულ გაზეთს ჩინურ ენაზე. უკვე გაუგზავნიათ ჩინეთის ქალაქ შანხაიში ჟურნალისტები ამ საქმის მოსაწყობად.

◆ ჩრდილო ამერიკაში ძლიერ სასტიკად სინჯავენ თურმე სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთ. გასულ კვირაში 160 კაცი დაუბრუნებიათ იქიდან რუსეთში, რადგან იმათ თვალების ავადმყოფობა ჰქონიათ.

◆ ამ დღეში დასრულდება პეტერბურგში სამეურნეო კომიტეტების ნაშრომის ბეჭდვა, რომელიც 60 ტომად გამოვა; 54 ტომი შეეხება ევროპის რუსეთს, 2 პოლონეთს, 1—კავკასიას და 3 ციმბირს. სულ დაიბეჭდება 600 ცალი ამ ნაშრომისა და გაეგზავნება სახელმწიფო დაწესებულებათ, განსაკუთრებულ საბჭოს წევრთ და სახელმწიფო წიგნთ-საცავთ.

პრესსა

მკითხველმა უწყის, რომ რუსეთის საშუალო სასწავლებლებში შეგირდებს ჯილდოდ „მედლებს" აძლევენ ხოლმე. ეს ძველი წესი დღემდინაც მტკიცედ არის დაცული საშუალო სკოლაში და უნივერსიტეტებში. „მედალი" ხშირად შეგირდის ღირსების მხოლოდ გარეგნული საზომია, არასფერს არ ჰნიშნავს და თვალს უხვევს საზოგადოებას. ამ მხრივ საინტერესოა გაზ. „ნოვოსტ."-ში მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში შარშან ამ „მედალისტებს" არ უხეირნიათ. ამ ამბავს გაზეთმა შემდეგი საინტერესო შემთხვევა დასძინა.

> ერთ კაცს ორი შვილი ჰყოლია კურს-დამთავრებული, ერთს მედალი მიეღო, მეორეს კი მხოლოდ კარგი ნიშნები—ყველა საგნებში ოთხი. ორივემ არზა შეიტანა პოლიტეხნიკუმში. მედალისტი მაშინვე მიიღეს, უმედალო კი უყურადღებოდ დასტოვეს.
>
> ამ ახალგაზდა კაცების მამა მაშინვე გაქცეულა პოლიტეხნიკუმში და უთხოვია დირექტორისათვის, მედალიან ჩემ შვილს უარი უთხარით და მის მაგიერ უმედალო მიიღეთო.
>
> — მედალისტს ჩვენ უარს ვერ ვეტყვითო, უპასუხნია პოლიტეხნიკუმის დირექტორს.
>
> — მართალია, თქვენგან მიღებული ჩემი შვილი მედალისტია, მაგრამ სრულებით გამოტვინებულია, მეორე კი ჭკვიანი ყმაწვილია. დამიჯერეთ მე, როგორც ამ ახალგაზდების მშობელსო.
>
> — თქვენ მართალი ბრძანდებით, ჩვენც ხშირად გაგვიგონია მაგნაირი საჩივარი, კარგად ვიცით ყველაფერი, მაგრამ არაფერი არ შეგვიძლია: წესი ასეთია და უნდა დავემორჩილოთ.
>
> — გაუსქდეს მიწა ამ წესსაო, ნაღვლიანად წამოიძახა „მედალისტის" მამამ და თავჩაქინდრული გაუდგა გზას.

წინად ამბობდნენ, ერთ მამას სამი შვილი ჰყავდა: ორი ჭკვიანი და ერთი ველოსიპედისტიო, ახლა კი ეს ანდაზა ასე უნდა შეიცვალოს: ერთ მამას ორი შვილი ჰყავდა —ერთი ჭკვიანი და მეორე მედალისტიო, ამბობს „ნოვოსტის" თანამშრომელი.

⁂

„პეტერბ. ვედომ."-ში საყურადღებო წერილია დასტამბული პ. ბულანჟესი შემდეგის სათაურით: „მეურნეობის მომავალი", რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, მსჯელობს იმის შესახებ, რომ უპირველესი ნივთიერება მცენარეებისათვის ჰაერი.

> დედამიწაზე აღზრდილ ყველა მცენარეთა 95 პროცენტი თავის საკვებს ჰაერიდან ღებულობს. მიწას იმიტომ ვხნავთ ხოლმე, რომ შიგ ჰაერს გზა გავუხსნათ მიწის გასანოყიერებლად. თუ ეგ აგრეა, განა არ უნდა ვიცოდეთ, რამდენათ ღრმად უნდა დავხნათ მიწა, რომ შიგ სასარგებლოდ დავატრიალოთ ჰაერი? ამ საკითხის გამოკვლევას შეუდგა ერთი ინგლისელი, გვარად კოტონი, ახალის წესით სცადა მიწის დამუშავება და მის ცდას შესანიშნავი შედეგი მოჰყვა.
>
> კოტონმა შეამჩნია, რომ დახნული მიწა, მიწის ზედა პირი, ბევრ ჰაერს შეიცავს, მის ქვეშ მიწაში კი ცოტაა ჰაერი, რაიცა ავნებს მოსავალს. კოტონმა, $1^1/_8$ არშინის სიღრმეზე დახნა მიწა, ნაკელი შეურია შიგ და იმდენჯერ გადააბრუნა ეს მიწა, იმდენი ეცადა, რომ იგი თითქმის ფხვიერად, ქვიშად აქცია, რომ ჰაერს თავისუფლად ემუშავნა ამ მიწაში, და შიგ კარტოფილი დარგო ერთმანეთზე 3 ფუტის დაშორებით. 1 დესეტინა მიწაზე 700 ფუთი კარტოფილი მოუვიდა. ამ გვარად დამუშავებულ მიწაზე კოტონმა პური დათესა და ერთი მარცვლიდან 190 ღერი და იმდენივე თაველი აღმოცენდა 8000 მარცვლით. ვინც ნახა, ყველა განცვიფრებული დარჩა ამ არა ჩვეულებრივ მოსავლით. კოტონს ხარჯ-გამოკლებით ერთ დესეტინაზე დათესილმა პურმა 750 მან. წმინდა მოგება მისცა.

ბულანჟეს მოჰყავს მსურველთათვის კოტონის საყურადღებო გამოკვლევის სათაური. იგი ინგლისურ ენაზეა დაწერილი „Lecture on agriculture", by sir A. Cotton.

თეატრი

სახალხო თეატრში, აბჯანდის ქუჩაზე, წარმოდგენების მართვას შეუდგებიან 17 სექტემბრიდან. ამ დღისათვის დანიშნულია წარმოსადგენად შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები". ფრანც მორის როლს შეასრულებს ა. მესხი, კარლოსისას—სვიმონიძე. როგორც მკითხველებს ახსოვსთ, წელს რუსულად მოიწვიეს მსახიობად კინს. მესხი. როგორც გუშინ-წინაც ვწერდით, სექცია იწვევს როგორც ძველ, ისე ახალ სცენის-მოყვარეთ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად. კრება მოსალაპარაკებლად მოხდება [illegible], 6 სექტემბერს, საღამოს 5 [illegible]ხალხო კითხვების აუდიტორიაში, აბჯანდ[illegible].

ხაშმი. 31 სექტემბ[illegible] ხაშმის ახალგაზდობამ სხვა სოფლელთა შემწეობით წარმოადგინა ცაგარლის კომედია „ხანუმა". ხანუმას როლს ასრულებდა ნუშო ლალიძის ასული. ქაბატო ითამაშა კეკე მამულაშვილის ასულმა. კაცებში აკოფას როლის ამსრულებელის ლუკა ნაჭყებიაშვილის გარდა ყველანი სუსტობდნენ: ზოგს როლის უცოდინრობა, ზოგს კიდევ სხვა რამ ნაკლი ეტყობოდა. **დამსწრე.**

სოფ. რუისი. 7 აგვისტოს აქ გაიმართა წარმოდგენა. შემოსავალი გადაიდო სამკითხველოს მოსაწყობად. შემოვიდა სულ 53 მ. 43 კაპ. სამკითხველოს დარჩა წმინდა 43 მ. 48 კაპ. დიდის მადლობის ღირსნი არიან წარმოდგენის გამმართველნი და მოთამაშენი.

დაბა-სოფლები

ხორგა (სამეგრელო). მიწის მოსავლის სიუხვით ს. ხორგა მთელს სამეგრელოში განთქმულია. რომელი მცენარეც გინდა, რომ აქაურმა ნია-

ლებით ერთ ზომაზე სჭამს და სვამს, ო სმა-ჭამის მოთხოვნილების რაღაც აირ კანონს ემორჩილება, მხოლოდ დ წოდებულ დღესასწაულებში უეცრად ც მოუვლის ხოლმე, ხბორებისებურ ცებით წიხლის კვრით თავდაღმა გადატრიალებს თავის ყოველ დღიურ მის კანონს, უსაზღვროდ და უკანონოდ და სვამს დილიდან საღამომდის, რამდე დღის განმავლობაში. უბრალო დღე- ომ მოახდინოს ადამიანმა ამისთანა თავ- ერელი ღრეობა, გიჟად ჩასთვლიან, დღეებში-კი არავის არ უკვირს, რად- ყველანი საერთოდ ღრეობენ და ერთმა- ს არა რცხვენიანთ.

ვრჯელ მწარედ დაუფიქრებივარ ამ სამ- რო გარემოებას. გონიერი ადამიანი რივ ვერას გზით ვერ იდღესასწაულებს იერ დღეს, თუ არ უზომო სმა-ჭამით ავ დავიწყებით?

არის ამისი მიზეზი? ჩემის ფიქრით, რომ ადამიანთა უმრავლესობა უკიდუ- მატერიალისტია, ხელი თუ არ შეა- ნივთიერ საგანს, ბედნიერ დღის მო- ვებელს, ისე ვერ დარწმუნდებიან, რომ ლა ბედნიერი დღე ეწიათ. ადამიანი რის ჩვეული თავის ცხოვრების ღრმა- ან კანონის შესახებ ფიქრს, ამიტომ ვნული, ნივთიერი მოვლენა—ყველა- ა მის ცხოვრებაში. დიდ ინდოურის, ან გოჭის მსუქან ფერდებს თუ არ მოავლო ხელი, ისე არ დაიჯერებს, რომ მართლა დიდებული დღე დაუდგა, მუცელი თუ არ აივსო, ისე არა სწამს, რომ მისი სიცოცხლე სიხარულითაა სავსე.

საცოდავი ინდოური, ბატი და გოჭი წარმოადგენენ დღევანდელ ადამიანის უვიცობის სიმბოლოს. როგორც ძველად თხებს, ისე ჩვენ [illegible] ცხოველებს [illegible] კისერზე ჩვენ ცოდვათა ტვირთი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველად ადამიანთა ცოდვა-ტვირთულ თხებს ცოცხლად განაძევებდნენ ხოლმე სოფლიდან, ჩვენი დროის ცოდვათა მტვირთველ ინდოურებს, ბატებს და გოჭებს-კი, უწყალოდ დაკლულთ, უსულოთ, ფეხებ-აფშეკილებს ჩააბრძანებენ ხოლმე უძირო სტომაქსა შინა თვისსა.

გზა და კვალ დაბნეულია დღევანდელი ადამიანი და ბრმა მიმდევარია ჩვეულებისა, ხმა-ამოუღებელი, მხდალი მიმბაძველია თავისი მეზობლისა, საზოგადოებისა და ქვეყნისა. ცალკე ადამიანი რომ ავიღოთ, იგი უმრავლეს შემთხვევაში სიმპატიური სულდგმულია, თქვენთვის სიკეთე ჰსურს, ბევრი კარგი ღირსება მოსდგამს, ასე რომ არ შეგიძლიათ კეთილ-მიდრეკილება არ იგრძნოთ მისდამი. საერთოდ კი ადამიანები ერთმანეთის ბრმა წაბაძულობის კლანჭებში არიან ჩავარდნილნი და მოგვაგონებენ რომის სენატს, რომლის შესახებ ერთმა ფილოსოფოსმა სთქვა: „ცალ-ცალკე ყველა სენატორები კეთილი კაცებია, საერთოდ მთელი სენატი კი გიჟ-მაჟ ცხოველს წარმოადგენსო".

დააკვირდით ერთი, როგორ დინჯად, სერიოზულად, თავ დავიწყებით ემზადება „სიკოს ოჯახობა", რათა სხვათა მსგავსად დაუხვდეს დღესასწაულს, თავსლაფი არ დაისხას. ჩვენ ავტორს ცოცხლად აქვს აწერილი მათი უსაფუძვლო ფაცა-ფუცი, ფუჭი აურზაური. აღდგომის წინ ჯადოსნური ფრთები რომ შეისხათ, ჰაერში აფრინდეთ, ქალაქის ყველა სახლებს უეცრად სახურავები ახადოთ, დარწმუნებული იყავით, რომ ყველგან, ყველა ამ სახლებში სწორედ ჩვენი ავტორისაგან აწერილ ერთნაირ სურათს დაინახავთ, მხოლოდ სხვა და სხვა ნაირ ფასის ჩარჩოში ჩასმულს. მდიდარ სახლებში წარმოგიდგებათ თვალწინ ოქროს ჩარჩოში ჩასმული იგივე დაკლული ბატები, გოჭები და ინდოურები, მხოლოდ უფრო მსუქან მბარბარკალ-კურტუმ-კასრაანები, რომელთაც უფრო კეკლუცად და ბრწყინვალედ მორთული ხალხი დასტრიალებს თავს; ღარიბ სახლებში კი ეს სურათი უფრო უფერულია, მჭლე და საცოდავი სანახავია ყველა ეს ბატ-გოჭ-ინდოურები, მაგრამ ერთი და იმავე საცოდავ პრინციპის შამფურზე იწვიან ამ ცხოველთა ლეშები თავის გონიერ პატრონთა გულის საამოთ და მოსალხენად.

სიკოს ოჯახობა, რასაკვირველია, ღარიბი წარმომადგენელია ამ საზოგადო ღრეობის უბედურ პრინციპისა.

დიდის ჰუმორით აქვს აწერილი ავტორს სიკოს ოჯახში პატარა მოსამსახურე გოგოტასა, რომელიც, „ბატონები რომ ვახშმად ისხდნენ, ოთახის ერთ-ერთ კუთხეში ბაყაყივით ჩამჯდარიყო და ქერიან ქათამივით თავს ჰქინდრავდა. ჰუჰყიანს, ჩაწილული თმა წინ წამოშლოდა და დრო გამოშვებით ისე დაიხრიტინებდა ხოლმე, გეგონებოდათ ახრჩობენო".

სიკოს ოჯახში მომხდარი ტრაგი-კომედია იმაში მდგომარეობს, რომ პასკების მოსამზადებლად ატეხილი ვაი-უშველებელი აურ-ზაური ბოლოს ფუჭად ჩაივლის: პასკები ყველა დაიწვა და წახდა და, რასაკვირველია, როგორც რკინის გზებზე ფათერაკის მიზეზი ყოველთვის მეისრეა, ისე სიკოსა და სხვების ოჯახებში ყველა მარცხის მიზეზი—„ჰუჰყიანი და თმა ჩაწილული" ტასაა, საცოდავი დაბალი ლობე, რომელსაც ადვილად გადაახტებიან თავზე ცოტაოდნად მარჯვე კანჭების მქონე [illegible]ვრების ბატონები.

მა[illegible]ლი ქარ-ბუქი დაატყდა თავს საცოდავ [illegible]ლო ტასას და ამით დასრულდა „სიკოს [illegible]ჯახის" უკანასკნელი ტრაგი-კომიკური აკორდი.

მადლობას უძღვნით [illegible] ერთი [illegible] ავტორს, რომელმაც გვაჩ[illegible] ლოთა ყოვლ[illegible]ად დაწერილი ესკიზი [illegible], ჩვენი ცხოვრების ვითარე[illegible].

ა. ნ— -შაძე.

ლაგმა არ შეითვისოს. ასე წარმოიდგინეთ, თბილი ქვეყნის ნაზი ხეებიც მშვენივრად ხარობენ. ამ გვარ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ ადგილს წელს თითქოს ღმერთი გაურისხდა. აქეთ ულევ გვარ მიწის მოსავალს წელს ძლიან ცუდი პირი უჩანს. ეს უფრო იმიტომ, რომ მთელის ივლისის და აგვისტოს განმავლობაში ორი-სამი მზიანი დღე კაცს თვალით არ დაუნახავს. მუდამ კოკისპირული წვიმები და ელვა-ქუხილი იყო. ადგილ-ადგილ კაკლის სიმსხო სეტყვა მოვიდა. ხშირმა წვიმებმა უმისოდაც გაცივებული მდინარე ხობის-წყალი ისე გაავსო, რომ ნაპირებიდან გადმოვიდა და მთლად წალეკ-წაიღო ჭალა და სიმინდიანი ყანები. ამას გარდა სწორედ, ეხლა მაინც იყოს რიგიანი ამინდები. მართალია, ეს ერთი კვირაა, რაც წვიმები არა უთქვია, მაგრამ აღმოსავლეთის დიდმა ქარებმა დიდი ზარალი მიაყენა წვიმებისაგან გაფუჭებულ სიმინდებს. ისე მიდრიკ-მოდრიკა, რომ მნახველს გული დაეწვის. ხილი არც ერთი არ შეარჩინა ტოტებს. ყველა ძირს ჩამობერტყა. ადესის ყურძენი, რომელიც ერთის კვირის შემდეგ მოსაკრეფი იყო, სულ ჩამოყარა. ერთის სიტყვით, ყველა მწუხარებაშია. ასეთ წელიწადს დიდი ხანია არ შეესწრებიათ.

ხობის იარმუკობას წელს ძლიან ცუდი სეზონი დაუდგა. კარვები ბევრი ააგეს გასაქირავებლად, ვაჭრებიც ცოტანი არ იყვნენ სავაჭროდ მოსულნი, მაგრამ ხშირმა წვიმებმა ვაჭრობა შეაფერხა. ამით ხობის მონასტერს გვარიანი შემოსავალი დააკლდა.

დ. ხობი და ახლო-მახლო მცხოვრებნი დიდს აღტაცებაში არიან, რადგან, როგორც ისმის, სოხუმ-ახალ სენაკის ახალი რკინის გზა ხობსაც მოხვდებათ. იმედი აქვთ, რომ რკინის გზის სადგური ხობში გაიმართება. თუ ეს გამართლდა, ხობი წინ წაიწევს. აქ არსდება ფოსტის განყოფილება. მეორე სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ გიგმაც [illegible] ხობის-წყალზე მიაგრობა რკინის ხიდს [illegible] ჟამად გაცხარებული მუშაობაა.

აქა-იქ ცებ-ცხე[illegible]ამ ზიანი ჯერ-ჯერობით არ მოაქ[illegible]

ხასინი

ალაგირი (ოსეთი). წვერში წლევანდელს ბურის მოსავალი გვარიანი იყო. სიმინდიც ჯერ-ჯერობით გვარიანია. სიმინდზე არის დამყარებული გლეხების სიმდიდრე, სასმელ-საჭმელი, ტან-საცმელი, მეტერ-მოყვარე, ჭირი და ლხინი. აქაური ქართველები შეჩვეულან სიმინდს. რასაკვირველია, მარტო სიმინდი ვერ დააკმაყოფილებს ყოველ მოთხოვნილებას. ამიტომ აქაური ქართველები მისდევენ დღიურ მუშაობას. ზოგი დროგებს ამუშავებს. თითო მეღროვე იშოვის ერთის წლის განმავლობაში ორის ცხენით 400—500 მანეთამდე. წელს მთიდან ნაკლები მოდის თხა-ცხვარი. ს. თამიშის და მიზურის მთებში ძლიერ სუქდებიან ცხენები და ხარები. აქამდის იღებდნენ მწყემსები თითო სულზე თითო მანეთს, ხოლო წელს მანეთ-ნახევრად გაზარდეს. ამ ჟამად აქეთ მშვენიერი ამინდებია.

პეტრე მეტრეველი

საჩხერე (იმერეთი). კარგა ხანია დ. საჩხერეში განიზრახეს ორ-კლასიანი საქალებო სასწავლებლის დაარსება. შუამდგომლობამ კარგა ხანს იარა ერთის დაწესებულებიდან მეორეში, რადგან იმის განხორციელებას ბევრი რამ აბრკოლებდა: შენობის უქონლობა, შესანახი წყაროს მოუძებნელობა და სხვა. როგორც იქმნა, შემაფერხებელ გარემოებებს ბოლო მოეღო კნ. ელისაბედ წერეთლის წყალობით, რომელმაც იკისრა სკოლისათვის შენობის მოწყობა, ადგილის დათმობა და ყოველ-წლიურად დახმარება. ოთხშაბათს, 3 სექტემბერს, კიდეც აკურთხეს ახლად მოწყობილი სასკოლო შენობა. კურთხევას ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა დაესწრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნიც. ქუთაისიდან სკოლის კურთხევა-გახსნასა და მოსწავლე ქალების მიღებას დაესწრო ქუთაისის გუბერნატორის მეუღლე. სკოლაში შესვლის მსურველნი ძლიან ბევრნი აღმოჩნდნენ, როგორც დაბისა, ისე ახლო-მახლო მდებარე სოფლის მცხოვრებთა ქალებიც. ჰფიქრობენ დიდი ყურადღება მიაქციონ ჭრა-კერვასა, ქსოვა-ქარგვასა და სხვა ხელსაქმეს. ამ სასწავლებლის [illegible]სება მით უფრო სასიამოვნოა, რომ [illegible] სამაზრისოში სულ სამი-ოთხი პირველ-[illegible]თი სკოლა ძლივს მოიპოვება, თუმცა მ[illegible]თხოვნილება და წყურვილი დიდია.

საჩხერის ახლ[illegible] ამ ბოლო დროს გაურცელდა ქურდ[illegible] სხვა ბოროტ-მოქმედებანი. საჩხ[illegible] ჟამში კარგა ხანია დათარეშობს ქურდ[illegible] ერთი მეტარა წრე, ასე სამი-ოთხი კაცისაგან შემდგარი, რომელიც უფრო ცხენების ქურდობას ეტანება. ქურდები თუ ვისმეს შეაგულებენ კარგს ცხენს, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ იმის მოსაპარავად. შემდეგ გადაჰგავთ ცხენი ქართლსა, ოსეთსა ან სხვაგან და ჰყიდიან, ან ისევ ცხენზე შეცვლიან. შინაურმა მტრობამ ძლიან მოიკიდა ფეხი. ამას წინად ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა თავ. დავით წერეთლის კალოზე ბურის ზვინებს. ცეცხლი ღარიბ გლეხების ზვინებსაც მოედო და გადასწვა მთელის წლის სარჩო.

პირველს სექტემბერს ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა შემდეგი აფაზაკობა ჩაიდინეს. აგვისტოს ბოლო რიცხვებში რაჭის მაზრის სოფელ ჭიორას მცხოვრებს, გლეხს პაპუნა ჩაგუნაშვილს ამხანაგებთან ერთად მოერეკა 40 სული კამეჩი და ხარები სოფელში გასასყიდად. ჩაგუნაშვილს გაუცნია საჩხერეში ორი ყმაწვილი, რომელთაც სადამოთი წაუყვანიათ იგი სოფელ საირხეში თედორე მღვდელთან. ვახშმის შემდეგ თედორე მღვდელი სოფელ ჭორვილაში წასულა და დამე იქ გაუთევია. ჩაგუნაშვილი ბედის წინ დაუწვენიათ. დამე ოთხი ვიღაც კაცი დასცემია თავს ჩაგუნაშვილს. აფაზაკებს მძინარისთვის დაუკრავთ თავში კეტი, შემდეგ ხანჯლით დაუჭრიათ ორგან თავსა და მუცელში. ჩაგუნაშვილს სული განუტევებია. ყოველ-ხმაურობაზე მოცვივნულან მეზობლები. ქურდებს ვერ წაუღიათ ფული და ის 310 მანეთი, რომელიც ჩაგუნაშვილს შიგნით ტანისამოსზე ჰქონია მიკერებული. ამ მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იქვე სასიმინდეში წოლილა ორი ძმა მღვდელი. ბოქაულმა ბერეჟიანმა ოთხი ამ საქმეში საეჭვო კაცი დააპატიმრა.

სოფელ ეწერში მცხოვრებ ყარამან ბოჭორიძეს სანახევროდ აუღია დაზარე ბოჭორიძისაგან ყანა. მოუყვანია ბური და მოსავლის შეყოფისას დაზარესთვის წაუღია თავისი წილი. რაღაც მიზეზისა გამო დაზარეს თავისი წილი არ წაუღია. ყარამანს გაუყვია ბური და შეუთვლია, ეხლა მაინც წაიღე შენი ნაწილი ბური და ბზეო. დაზარე იღლიაში ნაჯახ გამოჩრობილი წასულა კალოზე, სადაც ყარამანისათვის აუტეხია ჩხუბი. ყარამანი გაქცევია, უკან დაზარე გამოსდევნებია ნაჯახით ხელში. ყარამანს ფეხი წამოუკრავს და წაქცეულა. დაზარეს ორჯერ დაუკრავს ნაჯახი და ჩაუჩეხია ნიკაპში კბილებიან-ძვლებიანად და ცხვირი. [illegible] დაჭრილ ყარამან ბოჭორიძეს მასრით აწოდებენ რძეს, ისე აჭრილი აქვს პირი.

წელს გრილის და წვიმიანის ამინდების გამო მეტად დაიგვიანა როგორც სიმინდის, ისე ვენახის მოსავალმა. სხვათნის ამ დროს სიმინდები უკვე მოტეხილი ყოფილა, წელს-კი შესაძლებელია სიმინდების მოწევამ სექტემბრის შუა რიცხვამდე გასტანოს. საზოგადოდ ნაკლები იქმნება წელს სიმინდის მოსავალი, ისე როგორც იყო ბურისა. მეტად გაფუჭებულია ვენახებიც. ვისაც ასი კოკა მოსდიოდა, იმას ხუთი კოკა არ მოუვა წელს. ფულის შოვნა ძნელი გახდა. მიზეზი ის არის, რომ მესამე თვეა შავის ქვის მაღნებში მუშაობა შეწყდა. ეს რამდენიმე დღეა მხოლოდ შავის-ქვის მუშაობამ ხელ-ახლა აიდგა ფეხი.

სარაჰნელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

ლონდონი. გაზეთები იუწყებიან, მთავრობამ გადასწყვიტა, ოსმალეთის მთავრობას წინადადება მისცეს, რომ ოსმალეთის ჯარს მაკედონიაში ხალხის ხოცვაზე ხელი აიღებინოს.

ვენა. გაზეთები დაწვრილებით იხსენიებენ ცირკულიარს, რომელიც ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბოლგარიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს დაუგზავნა საზღვარ-გარედ.

სტამბოლი. ცნობა, ვითომ რუსის მონასტერში იერუსალიმს უწესოება მოხდენით, როგორც ეტყობა, ტყუილია.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 4 სექტემბერს ნიჟეგოროდის საერობო გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა.

როსტოვი-დონზედ. აქ პირუტყვთა გამოფენა გაიხსნა.

რიო-დე-ჟანეირო. შავი ჭირი, რომელიც აქ უკანასკნელ წლების განმავლობაში არ მოსპობილა, ხელ-ახლად, ცოტა რა იყოს, გაძლიერდა. რამდენიმე კაცი მოკვდა კიდეც; 60-მდე საავადმყოფოში წვანან. სანიტარო ღონისძიებანი მიღებულია.

ყაზანი. შინაგან საქმეთა მინისტრი 4 სექტემბერს მოვიდა და სასახლეში ჩამოხტა.

სოფია. 3 სექტემბერს ექვსის ვადის სათადარიგო ჯარი დიდის სიჩქარით შეკრიბეს. არწმუნებიან შეკრებილთა რიცხვი 8 ათას არ აღემატებაო.

სტამბოლი. კამაქჩალს ახლო აჯანყებულთ 300 მუდმივი ჯარის-კაცი მოჰკლეს—სტაროვინოსა და გიტოლისტოს შუა აჯანყებულნი ორ ბატალიონს ოსმალოს ჯარს ჩაუსაფრდნენ და დაეცნენ.

ვარშავა. გაზეთი „სლოვო“ იუწყება, ვარშავაში ოსმალეთიდანა და სერბიიდან აგენტები მოვლენ ცხენების საყიდლად. ადგილობრივმა ცხენის დალალებმა შიდა რუსეთის გუბერნიიდან დაიბარეს ცხენები.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა იუწყება, ბოლგართ სოფლებში ტიმურჯასა და სებე-კიოისში აჯანყებულნი ბლომად შეიყარნენ და ბოლგარიის საზღვარზე გადასვლას აპირებდნენ. აჯანყებულთ ოსმალოს პოსტის სადგური ტიმნიში დინამიტით ააფეთქეს და სოფელი დასწვეს.

სოფია. ცოკოვი დიპლომატიურ აგენტად მიდის ლონდონს. პორტამ პროტესტი გამოაცხადა, ფეჩკვს დიპლომატიურ აგენტად ნუ დანიშნავთ სტამბოლშიო.

სტამბოლი. 25 და 28 აგვისტოს მონასტირის ვილაეთში, აგრეთვე სალონიკში, შეტაკება მოხდა. ბევრი აჯანყებული მოჰკლეს, იმათ შორის აჯანყებულთ მეთაურები პეტროვი და კიცოროვი. სოფელ ზელენიკოვთან ყუმბარები იპოვნეს; ეს ყუმბარები სამხედრო მატარებლების ასაფეთქებლად უნდოდათ.

სალონიკი. აჯანყებულთ ძლიერი რაზმი პერიმის მთაში წავიდა. ამ რაზმს ოსმალოს ჯარი დაეცა. აჯანყებულთ 45 კაცი მოუკლეს, მათ შორის სამი მეთაური; ბრძოლის ველზე ბევრი სამხედრო სურსათი დასტოვეს. ოსმალოს ჯარს 7 კაცი მოუკლეს და ამდენივე დაუჭრეს.

5 სექტემბერი.

სოფია. ბოლგარიის მართებლობამ სამ დივიზიას მოუყარა თავი.

ბელგრადი. პეტრე მიშიჩი, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული ოფიცერთა უკმაყოფილება, დაინიშნა სამხედრო აკადემიის პროფესორად.

მარსელი. გამასწორებელ პოლიციის სასამართლომ დღეს პიკოლის და ლახინოს, რომელთაც კომბის ეტლს პომიდორები ესროლეს, მიუსაჯა დაპატიმრება: ერთს სამი თვით და მეორეს—ექვსით.

მადრიდი. პრესსისაგან გამოაშკარავებულ ფაქტებს ის შედეგი მოჰყვა, რომ მადრიდის პოლიციის უფროსი და ყველა მოხელეები სამსახურიდან დაითხოვეს. მათი უმეტესობა ვითომ ბოროტ-მოქმედების მონაწილე იყვნენ.

სტამბოლი. ბოლგარიაში ახალ რაზმებს აღგენენ. კუსტენდილსა და დუბნიცასთან 4000-მდე მაკედონელი შეკრებილა.—სტრუმიცის ხეობაში ცხარე შეტაკებები ხდება ოსმალთა და ბოლგარელთ შორის. ბოლგარელებს ცონჩევი წინამძღოლობს.

ლონდონი. 4 სექტემბერს, სადამოს 11 საათზე მეფემ სამსახურიდან დათხოვნის თხოვნა მიიღო ჩემბერლენისა, რიტჩისა და ჰამილტონისაგან. ჩემბერლენის აზრით, ბალფური საკმაოდ მტკიცედ ვერ იქცეოდა ამიტომ ის, ჩემბერლენი, სამსახურის მიტოვებას რჩეობს. იგი დარწმუნებულია, რამდენისამე ხნის შემდეგ ნა[illegible] თავის იდეების მხარეს დაიჭერენ.

თეირანი. სადრაზამმა [illegible] თავი დაანება. საქმის წარმოება ხუთ მინისტრს მიენდო. მხარე დამშვიდებულია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. [illegible] პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის [illegible] ქუჩ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—222)

მოკლე დროში დამთავრდება და გამო
სასყიდად ახალი გამოცემა „წერა-კი
საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსა

სურათებით, წინასიტყვაობით და ვრ
ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგ ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირებ დარიბით იაფად. (3—უ.

«მცხეთა-ტფილისის»

ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, **ამ თვის ათში,** სადამოს 6 საათზე, სი დავითიშვილის სახლში (Тамаринска № 9) დანიშნულია **საზოგადო კრება** სასმენად კომისიის მოხსენებისა მცხ ადგილების შეძენის შესახებ. (3—

წინამძღვარიანთ კარის სასოფლო

ურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვ არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ნებისა და სარწმუნოებისა ამა 1903 წ. სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმა მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით ცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხე ხველთან ხუნდაძესთან. წინამძღვარიანთ წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მო სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღ საგან მიცემული ამოწერილობა წლოვანებ გნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა ზედებელ კლასის პირველ განყოფილებაში იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კ დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდო იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადე სწავლა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მი სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა წლის სოფელში ბინა უშოვოს, ჩაცვასა და ხუროს.

შორი მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისა სთვ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია შეგირდებისათვის სადგომი. ყველა საქმეს ამ გომისას თვით სკოლის პედაგოგიური კრე ნაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დის ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სკ სადგომში, იმან უნდა წარმოადგინოს: წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველ ტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შე შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სახელ ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი სკოლისათვის დაწესებული ტანისამოსი: საზამთრო და ორი საზაფხულო. თუკი ყმა სადგომიდან გავა, შემოტანილი ფული დაუბრუნდება და დარჩება სადგომის სასარგებ

ფული და ყოველგვარი წერილები გამო გნება შემდეგის ადრესით: Станція Мц смотрителю Цинамзгваріантъ-карской сел хозяйственной школы. (3—

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო მიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, გმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. სტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კში, მთარგმნელთანა და „ქართველთა რის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადო წიგნის მაღაზიაში (5—6.—

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალო

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ მე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შე რავები და კაბები ქალებისა და ბავშ სთვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—1